# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 313. | ხუთშაბათი, 5 მაისი 1905 წ. | გაზეთის № 2812.

### დეპუტატის ანგარიში

(ბერანჟედან)

ბატონებო, გთხოვთ დეპუტატს
მომისმინოთ ანგარიში,
არ გეგონოთ, რომ სამშობლო
მართლა იყოს რამე შიში.
მისი საქმე, რომ ვსთქვათ ასე,
არც უკან და არც თუ წინა,
და რომ კარგად დამერწმუნოთ,
მკითხეთ, მე რამ გამაბრწყინა!
მინისტრები რომ
სადილს მართავდნენ,
იმ სადილებზე
მე მექახოდნენ!
ყველაფერი მოვიაზრე
და მოვმართე ისე ენა,
მიბრძანეს და შევიყვარე
მხოლოდ ერთი მე „მარჯვენა.“
დამიჯერეთ, არც მოვსტყუვდი,
ყველა კარგად გავიკვეთე.
„მარცხენა“ რო შევიძულე,
მისთვისა მხვდა ეს სიკეთე.
მინისტრები რომ
სადილს მართავდნენ
იმ სადილებზე
მე მექახოდნენ.
თუ რომ გსურდეს ჭკვიანები
„მარცხნივ“ მხარეს ჩაასჩუმო,
იცოდე, რომ ილაქლაქე
და ენა არ დაადუმო!
მეც ვყვიროდი, მეგობრებო,
ხან სხვებთან და ხანაც მარტო,
თუნდ მუცელი ჩამწყვეტოდა,
მომგლეჯოდა მთლად ყანყრატო!
მინისტრები რომ
სადილს მართავდნენ,
იმ სადილებზე
მე მექახოდნენ!
და თუ ჳრესსა შებოჭვილი,
როგორც უნდა არის ჩვენში,
იცოდეთ რო მე მიმიძღვის
დვაწლი ამ დიდს სიკეთეში.
მიბრძანებდნენ, რო გმირებსა
ჩამოუკარ ქების ზარა,
მე მზად ვიყავ, სულ ერთია,
ჩემთვის ვსთქვა „ჰო“, თუნდა „არა!“
მინისტრები რომ
სადილს მართავდნენ,
იმ სადილებზე
მე მექახოდნენ!
თავისუფალ სასამართლოს
გაუქმებაც მე მოვასწრე,
რაც კანონი მსურდა ჩემთვის
ვითხოვე, არ დავივიწყე.
სამშობლოდან გაძევებულთ
ვუბრძანე კვლავ გაძევება,
ავასრულე მბრძანებელის
ინსტრუქცია, მისი ნება!
მინისტრები რომ
სადილს მართავდნენ,
იმ სადილებზე
მე მექახოდნენ!
და სატახტო ქალაქისა
ჳროკურორი ახლა მე ვარ,
ყველგან კარი ღია არი,
საცა მინდა წავალ, შევალ.
სამი ძმა და ორი შვილი
სამსახურში შევიყვანე,
საცა კია კომიტეტი,
ყველგან მე ვარ თავჯდომარე!
მინისტრები რომ
სადილს მართავდნენ,
იმ სადილებზე
მე მექახოდნენ.

**ი. ევდოშვილი**



**გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი,**
კავკასიის ნამესტნიკი.
(კლარის ფოტოგ.)



**გენერალი მალამა,**
სამხედრო თანაშემწე ნამესტნიკისა და მისი მოადგილე.
(ნორდშტენის ფოტ.)



**დ. ტ. ს. სულთან-კრიმ-გირეი,**
ნამესტნიკის თანაშემწე სამოქალაქო ნაწილისა
(ძიშჩენკოს ფოტოგ.)

# ბინდში

(თარგმანი)

ზამთრის მოკლე დღე შესცვალა ბინდმა. ქუჩის მეორე მხარეს აინთო ფარანი და იმისმა ნათელმა აქა-იქ ყვითლად შეღება ახლად დადებული მოლურჯო თოვლი. პროფესორმა აიღო დაღლილი თავი, მიაყრდნო სავარძლის ზურგს და გაი-



**მოულოდნელი შემთხვევა.**

ხედა ფანჯარაში. იმის თვალები უნებურად მიიპყრო ფარნის ციმციმმა და უცბად რაღაცა გამოურკვეველმა მწუხარებამ მოიცვა მოხუცის გული. დიდიხნის წარსული სურათი ნათლად წარმოუდგა მის გონებას. მოაგონდა, რომ მაშინაც ოთახი მოცული იყო ბინდით, რომ ასევე აინთო ფარანი ქუჩის მეორე მხარეს და იმისმა ნათელმა, ისე, როგორც ახლა, ყვითელ ლაქად შეღება მოლურჯო თოვლი. მოაგონდა მოხუც პროფესორს თავისი ბავშვობა, ის დრო, როდესაც, იმისი ეხლა ჭაღარისგან დათოვლილი თავი, მორთული იყო ოქროსფერ ხუჭუჭის თმით და ნაზ ფერ-მკრთალ სახეს ამკობდა ნაღვლიანი, ჩაფიქრებული შავი თვალები.

და აი, სწორედ იმისთანა ზამთრის საღამოს, როგორც ახლაა, ის, ბავშვი, დედასთან ერთად უჯდა ფანჯარას და თვალს ადევნებდა ქუჩაში მიმოვალ ეტლებს და ყინვისაგან აწითლებულ ხალხს. პატარა ბიჭი მხიარულის ცნობის-მოყვარეობით უმზერდა ამ უთავბოლო მოძრაობას და უდარდელად, სიყვარულით ულიმოდა ცხოვრებას. უცბად იმისი ყურადღება მიიზიდა ერთმა დანჟღრეულმა ეტლმა, რომლითაც ორ კაცს პატარა თეთრი ყუთი მიჰქონდა. ბავშვს მოუნდა შეეტყო, რა მიაქვთ ამ ლამაზ ყუთით, და ამ კითხვით მიუბრუნდა დედას. დედამ შეხედა ეტლს, შიგ მჯდომ კაცებს და იმისი მომღიმარი სახე დაჩრდილა ნაღვლის ღრუბელმა. მოხვია შვილს ხელი და მიიკრა გულზედ. შვილმა გაუმეორა კითხვა.

— ეგ კუბოა, ჩემო გვრიტო, — დაბალის ხმით მიუგო მან. — საწყლებს, ალბად შვილი მოუკვდათ, — დაუმატა უფრო დაბლა.

მოუკვდა! გაუგონია ბავშვს ეს სიტყვა, აუხსნია ვისმეს მისი საშინელი მნიშვნელობა, თუ ინსტინქტიურად მიხვდა, მოხუცი პროფესორი ახლაც ვერ ახსნის, მაგრამ აქამდის ახსოვს, როგორი დიდი შთაბეჭდილება იქონია დედის სიტყვებმა, ბავშვის ცოცხალ ფანტაზიას წარმოუდგა რაღაც უფორმო, მკაცრი, შეუბრალებელი ძალა, რომელიც ერთბაშად გადაეფარა ქალაქს, უხილავის ქსელებით შემოეხვია უდარდელად მოსიარულე ხალხს და ბინდთან ერთად შემოჰყო უწყალო ბრჭყალები ფანჯარაში, ლამაზი, კოხტა ოთახი უცბად დაჩრდილა ბოროტმა ღრუბელმა, საშინელი გულშემზარავი წყვდიადი მოეფინა ნათელ კედლებს და უმზერდა ბავშვს მოელვარე, მუქარით სავსე თვალებით. ბავშვი შეკრთა, შიშის ჟრუანტელმა დაურბინა ტანში და აუძგერა პატარა ნორჩი გული. ბავშვი გაფითრდა, უცბად ახალმა, უფრო საშინელმა, ფიქრმა გაუელვა თავში.

— დედა, შენც მოკვდები? — ცრემლების ყლაპვით შეეკითხა ბავშვი. დედა გაიღიმა.

— არა, შვილო, ჯერ ადრეა. მაშინ მოკვდება დედა შენი, როცა დაბერდება, ძალიან დაბერდება. ყოველი ადამიანი სიკვდილის შვილია...

აქ კი ბავშვმა ველარ შეიმაგრა თავი. იმის ნორჩ გულს პირველად შეეხო სინამდვილე, შეუბრალებელის ხელით. საშინელმა ძალამ უფრო მჭიდროდ შემოახვია ოთახს თავისი ქსელი. ათრთოლებული ბავშვი მიეკრა დედას და მწარე, მალალი ქვითინი ამოხდა გულიდან. შეშინებულმა დედამ დაუწყო ალერსი, ეუბნებოდა, რომ იხუმრა, რომ სიკვდილი ვერ მიუდგება მას, მაგრამ ბავშვი გრძნობდა დედის ნუგეშის სიყალბეს და ცრემლები, მჩქეფარ ნაკადულივით, გადმოსდიოდა თვალებიდან. მაშინ დედამ მიმართა სხვა საშუალებას: საჩქაროდ მიიყვანა შვილი მაგიდასთან და მოუკიდა სანათს. მხიარულმა ნათელმა გააბრწყინა ოთახი და საშინელი ჩრდილი გაცურდა ფანჯარაში. ბავშვი ცოტათი დამშვიდდა. დედამ ისარგებლა ამ წუთით და მიაქცია შვილის ყურადღება სხვა, გარეშე საგანს. მაგრამ ამ შემთხვევამ დააჩნია მგრძნობიარე გონებას ღრმა კვალი. რაღაც მძიმე, გამოუთქმელი მოუსვენრობა დააწვა ბავშვის გულს. დღისით, როდესაც ოთახი განათებული იყო ბრწყინვალე მზით, იმას ავიწყდებოდა შიში, მაგრამ როგორც-კი ცოტათი დაბნელდებოდა და წყვდიადი დაჩრდილავდა ქუჩას, საშინელი ჩვენება ხელ-ახლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოევლინებოდა ბავშვს და აათრთოლებდა იმის პატარა გულს, მაშინ მაგრა ეკროდა დედას და თვალ-ცრემლიანი ეკითხებოდა:

— დედაჯან, ხომ არ მოკვდები? არა, არ მინდა რომ მოკვდე!

დედა შიშით ისმენდა ბავშვის სიტყვებს და სცდილობდა მხურვალე ალერსით დაეფარა შვილის გული შავ ღრუბლისგან. მაგრამ მკაცრი წყვდიადი, ბინდთან ერთად, უბრუნდებოდა ბავშვს და უფრთხობდა მოსვენებას. ერთ საღამოს დედამ მოხვია ხელი შვილს და ალერსით უთხრა:

— გინდა ჩემო ბიჭიკო, გიამბო მშვენიერი ზღაპარი? ყური კარგად დამიგდე, არ იტირო. ვინ იცის, იქნება ის, რაც მე უნდა გიამბო, მართლაც მოხდა.

ბავშვს გაგიჟებით უყვარდა დედის ზღაპრები. იმან უსიტყვო თხოვნით თვალებში შეხედა დედას და, სმენად გადაქცეული, ახლოს მიუჯდა. მაშინ დედამ, თავის სასიამოვნო დაბალის ხმით, რომელიც ბავშვს ისე უყვარდა, დაიწყო ზღაპარი:

„სცხოვრობდა ოდესღაც ქვეყანაზედ ერთი ბრძენი. ისეთი ჭკვიანი იყო, რომ ყველაფერი იცოდა. იმის განვითარებულ, მაღალ ჭკუას ვერ შეეგნო მხოლოდ ერთი მოვლენა. მთელი თავისი სიცოცხლე იმან გაატარა ბნელ გამოქვაბულში, სადაც არ შედიოდა მზის სხივი. მოშორებული ხმაურობას და ქვეყანას, იჯდა სწავლული ქვაზედ და შესცქეროდა ობობას, რომელიც კუთხეში აბამდა მბრწყინავ ქსელს. დრო მირბოდა; სწავლულის სახე დაჰფარა ნაოჭებმა, გრძელი წვერი, თოვლივით თეთრი, გულს ეხებოდა, ვერცხლის ძაფიც გაიზარდა და იმის გათავებას ბოლო არ უჩნდა. ბრძენი კი იჯდა ქვაზედ ბნელ გამოქვაბულში და მისცემოდა ღრმა ფიქრებს. აი გაიგო ყველაფერი, მხოლოდ ერთი საგანი რჩებოდა აუხსნელი მის ნათელ გონებაში. ეს იყო სიკვდილი. ვერ გაიგო ბრძენმა, რა არის სიკვდილი და რად არის იგი ქვეყანაზედ. ბევრი იფიქრა და ბოლოს სთქვა: „წავალ ღმერთთან; ახლა ყველაფერი ვიცი, ერთის გარდა. წავალ და ვთხოვ, ამიხსნას ბუნების ეს უკანასკნელი საიდუმლო.“ გამოვიდა მოხუცი ბრძენი გამოქვაბულიდან და ავიდა მაღალ მთის წვერზე. აქ დიდხანს ევედრებოდა ღმერთს, აეხსნა გაუგებარი მოვლენა.

ღმერთმა ჰკითხა: „რა მიზეზით დანაოჭდა შენი სახე და რა მიზეზით გათეთრდა შენი თავი, ისე როგორც სპეტაკი თოვლი ამ მთის წვეროზეო?„ ბრძენმა უპასუხა: „ჩემ ახალგაზდობისას მიყვარდა ქალი, რომელიც მომტაცა უწყალო სიკვდილმა. ვერ ავუხსენ ჩემ თავს, რა არის სიკვდილი და რად არის იგი დედამიწაზე. ვერ შევძელ მწუხარების გადატანა, და მოვისურვე სიკვდილი. მაგრამ, როდესაც მივდიოდი სასიკვდილოდ, შემომხვდა შენი ანგელოსი და მითხრა: თუ გაიგებ და „შეისწავლი“ ყველაფერს, მიხვდები, რა არის სიკვდილი და რად არის იგი ქვეყანაზეო. დავყე ანგელოზის რჩევას და განუსაზღვრელის სურვილით დავეწაფე სწავლა-მეცნიერების წყაროს. გავშორდი ხალხს, შევეკედლე ბნელ, ღრმა გამოქვაბულს, რომლის დახავსებულ კედლებზე მზის ცხოველ სხივს არასოდეს არ უნავარდნია, და აი იმ ჯურღმულში, ქვაზედ მჯდომარემ, გავატარე მთელი ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლე. დრო შეუმჩნევლად მირბოდა ჩემ წინ, დავბერდი, სახე დამეღარა; ოდესღაც შავი თმა თოვლის ფრად შეიღება. ობობამ კი მოქსოვა ისეთი გძელი ქსელი, რომლით შეიძლება ცისა და მიწის შეერთება. გავიგე ყველაფერი, ავხსენი ბუნების წესი, ვერ შევითვისე, ვერ შევიგნე მხოლოდ უკანასკნელი მისი საიდუმლო. ვერ ავხსენ სიკვდილი, ვერ ავხსენ მისი დანიშნულება. გთხოვ, გამომირკვიო ეს საიდუმლო, რადგან ობობას ქსელი მისწვდება ცას და მე ვიცი ყოველი, მაგის გარდა.“ მაშინ ღმერთმა უპასუხა: წადი შენს გამოქვაბულში, რომლის წყვდიადსაც არასოდეს არ აშუქებს მზის ბრწყინვალე სხივი და ჩასწერე შენი ცოდნა დიდ წიგნში. მხოლოდ უკანასკნელი ფურცელი ჩემთვის დასტოვე. მე ჩემის ხელით დავწერ, რა არის და რად არის სიკვდილი. მაშინ მიხვდები ამ უკანასკნელ საიდუმლოსაც“. ბრძენმა შეასრულა ღვთის ნაბრძანები, მაგრამ როდესაც დასწერა ყველა ის, რაც იცოდა, წიგნი ისეთი დიდი და მძიმე გამოვიდა, რომ მისმა სუსტმა, მოხუცმა ხელებმა ვერ შესძლეს მთაზედ წაღება. მაშინ უფალი თვით ესტუმრა ბრძენს გამოქვავებულში და ნოტიო წყვდიადი გაბრწყინდა წმინდა ნათლით. უფალმა გადაშალა წიგნი და უკანასკნელ ფურცელზე, ოქროს ასოებით დასწერა, რა არის სიკვდილი და რად არის იგი ბუნებაში.

სწავლულმა წაიკითხა ღმერთის სიტყვები, იმისი დამჭკნარი სახე განათდა ღიმილით და მშვიდათ გადაიცვალა. დაე ეს სიბრძნის წიგნი შეინახოს ბნელმა გამოქვაბულმა, რომლის წყვდიადი არასოდეს არ ნათდება ოქროს შუქით. თუ გამოჩნდება ისეთი იდამიანი, რომელიც შეისწავლის ამის ფურცლებზე აღწერილს სიბრძნეს, რომელიც არ დაუშლის ობობას, მოქსოვოს ქსელი ცისა და მიწის შესაერთებლად, იმას გამოერკვევა საიდუმლო: რა არის სიკვდილი და რად არის იგი ბუნებაში. ის კი, რომელიც ვერ შეიგნებს სრულიად ამ წიგნის სიბრძნეს და გასწყვეტს ქსელს, ვერ მიხვდება ჩემის სიტყვების აზრს და ვერ გაიგებს უკანასკნელ საიდუმლოს“-ო სთქვა ეს ღმერთმა და გაშორდა გამოქვაბულს, რომელშიაც არასოდეს არ შედის მზის ოქროს სხივი.



ქანდაკება.

„ამის შემდეგ განვლო მრავალმა წელმა. დიდძალი ხალხი მიდიოდა გამოქვაბულში უკანასკნელ საიდუმლოს გასაგებად, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეიგნო წიგნის სიბრძნე და ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოუცადა ობობის გრძელ ქსელის გაბმას. აქამდის სძევს სიბრძნის წიგნი ბნელ გამოქვაბულში, რომლის უკუნო წყვდიადი არ გაბრწყინვებულა მზის სხივით. და ვერც ერთმა ადამიანმა დღემდე ვერ ჩააღწია იმის უკანასკნელ ფურცლამდე...“

აი ეს ოდესღაც დედისაგან გაგონილი, ზღაპარი, მოაგონდა ეხლა პროფესორს; მაშინ ამ ზღაპარმა წარმოუდგინა




**ბუ.**—დილა მშვიდობისა, ბატონო! სამსახური ხომ არა გნებავთ რა?
**მოქალაქე.**—რა სამსახური, რის დილა, ჯერ შუაღამეა!
**ბუ.**—უკაცრავად, უკვე განთიადია, მაგრამ ახლა ეს სულ ერთია, მე ვხედავ, რომ თქვენც ჩემს დღეში ხართ და გირჩევთ ახლავე დამიმეგობრდეთ.

ბავშვის ფანტაზიას განსაცვიფრებელი სურათი. ბევრჯერ უთხოვნია დედისათვის განმეორება და ბოლოს ზეპირადაც შეისწავლა. ცოტ-ცოტათი იმან მიივიწყა ყველა სათამაშო, შეიჯავრა სხვა ზღაპრები და ოცნებობდა მხოლოდ იმ დროზედ, როდესაც გაიზდება, დაეწაფება სიბრძნის წიგნს და გაიგებს უკანასკნელ საიდუმლოს.

პროფესორმა სავსებით განახორციელა ოქროსფერ თმიან ბავშვის ოცნება: მთელი თავის სიცოცხლე იმან დაამყარა ზღაპრის მიზნის მიღწევაზე. გულის სიღრმეში, სადღაც კუნჭულში, კრძალვით ციმციმებდა იმედის ალი, რომ იქნება იმას ხვდა წილად კეთილი ბედი, გაიგოს: რა არის და რად არის სიკვდილი. მთელი სიცოცხლე განვლო ოთახში, სადაც იშვიათად თამაშობდა მზის სხივი და სადაც არ აღწევდა ხალხის უაზრო ხმაურობა. ყოველ საღამოს ინთებოდა ფარანი ფანჯრის პირდაპირ და ნათელ მკრთალ შუქს ჰფენდა ირგვლივ. სწავლული კი კითხულობდა სიბრძნის წიგნს, ხოლო ობობა კუთხეში განუწყვეტლივ აბამდა ვერცხლის ქსელს. მაგრამ აი განვლო დრომ, ახალგაზდა, ლამაზი სახე დაიღარა ნაოჭებით, ოდესღაც ოქროსფერი ხუჭუჭი თმა, ეხლა თოვლივით გადაჰფარებია იმის მოხუც თავს. უთვალავი ფურცლები წაიკითხა პროფესორმა, მაგრამ უკანასკნელ ფურცლისაკენ ჯერ კიდევ შორს არის და ობობას ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა მოუნდება, რომ თავისი ქსელი ცას მიაწვდინოს.

გრძნობს მოხუცი პროფესორი, რომ მოუახლოვდა მას სიკვდილის საათი: მიაღწევს კი უკანასკნელ ფურცელს, აეხსნება კი ღვთისგან აღბეჭდილ სიტყვის საიდუმლო და იმის მოქუშულს სახეს გაუნათლებს ის სანატრელი, ბნელი ღიმილი, რომელმაც დაამშვენა ზღაპრის ბრძენის ტანჯული სახე? მოხუცმა პროფესორმა მძიმედ ამოიოხრა, წამოდგა სავარძლიდგან და მოუკიდა სანათს.

**ნ—ური.**




ტფილისის ქუჩებზე.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**